


შპს „ა-ლ.ფ.აჯგუფი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	შესადარებელი პერიოდი
	31.12.2024	31.12.2023
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24,097.00	364,610.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,113,904.00	1,364,847.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები	-	-
მარაგები	1,690,826.00	425,267.00
მ.შ. - შზა პროდუქცია	961,381.00	2,065.00
- სხვა	729,445.00	423,202.00
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	100,000.00
ძირითადი საშუალებები	2,563,696.00	2,830,819.00
არამატერიალური აქტივები	-	143,201.00
სულაქტივები	6,392,523.00	5,228,744.00
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,451,318.00	2,170,794.00
ანარიცხები	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	37,511.00
საგადასახადო ვალდებულებები	30,923.00	34,023.00
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	971,168.00	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2,062,196.00	2,513,104.00
სხვა ვალდებულებები	488,592.00	-
სულ ვალდებულებები	5,004,197.00	4,755,432.00
საკუთარიკაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	1,388,326.00	473,312.00
გადაფასების რეზერვი	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-
სულ საკუთარიკაპიტალი	1,388,326.00	473,312.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6,392,523.00	5,228,744.00
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,828,827.00	2,154,723.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,451,318.00	2,170,794.00

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2025 წ.

დირექტორი:  გიორგი ტალაშაძე
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	შესადარებელი პერიოდი
	2024 წ.	2023 წ.
ნეტო ამონაგები	5,134,683.00	3,947,956.00
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	5,000,336.00	3,812,532.00
- მომსახურების გაწევიდან	134,347.00	135,424.00
გაყიდვების თვითღირებულება	(2,983,023.00)	(2,746,722.00)
საერთო მოგება	2,151,660.00	1,201,234.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(543,364.00)	(220,817.00)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(267,123.00)	(171,684.00)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	(206,757.00)	(195,882.00)
იჯარის ხარჯი	-	(254.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(187,128.00)	(381,336.00)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,204,372.00)	(969,973.00)
საოპერაციო მოგება	947,288.00	231,261.00
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	(32,274.00)	(1,786.00)
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-	(8,086.00)
მოგება/ზარალი მოგების გადამ. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	915,014.00	221,389.00
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშ გებო პერიოდის მოგება/ზარალი	915,014.00	221,389.00
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი	-	-
სხვა სრულიშემოსავალი/ზარალი, სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	915,014.00	221,389.00
საკუთარიკაპიტალისაანგარიშ გებო პერიოდის დასაწყისში ი	473,312.00	-
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,388,326.00	221,389.00

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2025 წ.

დირექტორი: _____ გიორგი ტალახაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ა-ლ. ფ. ა ჯგუფი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია 2022 წლის 6 აპრილს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 404634909. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: სასაქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, ვაჟა-ფშაველას ქ., N 36-38 ბ. 18. მისი ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილი არის საქართველო, გარდაბნის რაიონი სოფელი გაჩიანი

1.2. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

01011005607, გიორგი ტალახაძე	27.50%
01026011917, ელენე გოლოვაჩოვა	39.17%
76 7730446 /რუსეთის ფედერაცია, ვალენტინა რომანოვა	33.33%
სულ	100.00%

1.3. კომპანიის დირექტორია გიორგი ტალახაძე, (პ.ნ.01011005607)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ფრაქციული ღორღის და ქვიშის წარმოება და რეალიზაცია, კომპანიის საკუთრების (ტერიტორიის) იჯარა ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2. 1. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2. 2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2. 3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2. 4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა: შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში ან სხვა აქტივის თვითღირებულების კომპონენტად. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწრა ზდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოდგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო

კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2024 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2. 7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

3 . ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითიშენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2599
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	21451
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	47
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0
სულ:	24097

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში: სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“.

3.2.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები	2113904
სულ:	2113904

3. 3. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით
მიმწოდებელზეგადახდილიავანსები	0
წინასწარ გაწეულიხარჯები	0
სულ:	0

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით
საქონელი	303810
ნედლეული და მასალები	0
მზა პროდუქცია	961381
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	425635
სულ:	1690826

3.5. ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	საწყისი ღირებულება	ცვეთის ჯგუფი	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირებულება
2110 - მიწის ნაკვეთები	685058		0	685058
2130 - შენობები	148853	2230 - შენობის ცვეთა	7422	141431
2150 - მანქანა– დანადგარები	1154189	2250 - მანქანა– დანადგარების ცვეთა	108754	1045435
2160 - ოფისის აღჭურვილობა	37496	2260 - ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	4519	32977
2170 - ავეჯი და სხვა ინვენტარი	4411	2270 - ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	801	3610
2180 - სატრანსპორტო საშუალებები	800812	2280 - სატრანსპორტო საშუალების ცვეთა	145627	655185
				2563696

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტ პირებთან	1451318
	1451318

3.7. სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით
ფინანსური იჯარა (ლიზინგი)	1279760
გრძელვადიანი სესხი სს"თიბისი ბანკი"-სგან	2062196
შპს ახალი ჯგუფი	180000
სულ:	3521956

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	53104
მიწოდების სხვა ხარჯები	28312
სოციალური დანარიცხები	10305
სამეურნეო ხარჯები	15104
საბანკო მომსახურება	7094
სხვა საერთო ხარჯი	73209
სულ	187128

3.10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2023 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს.